# ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდის შესწავლა სომხეთში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში

პროპაგანდა დიდი ხანია კაცობრიობის ისტორიის ნაწილია. პროპაგანდას იყენებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი, ეკლესიები და პოლიტიკური პარტიები, რომ თავიანთი ღირებულებები მსოფლიოსათვის მიეწოდებინათ, შეექმნათ ერთიანი საზოგადოება ან თავიანთი ხედვები რეალობაში დაემკვიდრებინათ. პროპაგანდას ბევრი სახე ჰქონდა –კათოლიკე მისიონერებიდან დაწყებული, რომლებსაც რწმენის პროპაგანდა ევალებოდათ და დამთავრებული იმ პლაკატებით, ჯარისკაცებს პირველი მსოფლიო ომის ტრანშეებში რომ არწმუნებდა, თუ რატომ იყო „ტკბილი და ღირსეული სამშობლოსთვის სიკვდილი" (dulce et decorum pro patria mori).

საბჭოთა პროპაგანდას, ახალი სამყაროს შექმნას და მასში ახალი ადამიანის ჩასმას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ამ გრძელ ისტორიაში. საბჭოელებმა გამოიყენეს ყველა შესაძლო საშუალება, რათა ისეთი რეალობა დაეხატათ, რაც მათ იდეებს ეთანხმებოდა. ქვეყანა, რომელიც მათ ააშენეს, იყო „პროპაგანდისტული სახელმწიფო“, როგორც ამას პიტერ კენეზი უწოდებდა. პროპაგანდამ შეაღწია საბჭოთა ერების ყოველდღიური არსებობის ყველა ასპექტში. ეს იყო სიმღერები, რომლებსაც ბავშვები მღეროდნენ საბავშვო ბაღებში, ფილმები, რომელთა სანახავადაც მოზრდილები კინოთეატრებში დადიოდნენ, რომანები და ლექსები, დაწერილი "ადამიანის სულის ინჟინრების" მიერ, ტურისტული მარშრუტებიც და კულინარიულ წიგნებიც კი საბჭოთა მოქალაქეებს მოუწოდებდა: „დაეთესა სიბრძნე, დაეთესა სიკეთე მარადიული კომუნიზმისა და პარტიისათვის“.

თავად ისტორიის ბუნება, საზოგადოების ცოდნა წარსულის შესახებ, ყველაზე შესაფერისი მასალა იყო, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებდა. შეიქმნა ახალი ნარატივები, დაიდგა ახალი ძეგლები და დაიწერა ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები იმ მიზნით, რომ ქვეყანაში ყველას ხსომებოდა მრავალსაუკუნოვანი მოძრაობა 1917 წლის რევოლუციისკენ და „ერების

მეგობრობა“ რუსებთან. ამ სახის პროპაგანდაში ისტორია გამოიყენებოდა თანამედროვე სამყაროს ასახსნელად. ისინი ისტორიით მანიპულირებდნენ და ასე ცდილობდნენ უსიამოვნო სიმართლის დაფარვას, ისტორიაში ყოველგვარი კვალის წაშლას, რაც მათ მიზნებს არ შეეფერებოდა.

ისტორიაზე დაფუძნებულმა საბჭოთა პროპაგანდამ არა მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოები მოამზადა, არამედ აღმოაჩინა უფრო გონივრული და უხილავი გზები, რომ წარსულის მათთვის მისაღები სურათები ჩაენერგა თავისი მოქალაქეების ცნობიერებაში კინოს, ანიმაციისა და ლიტერატურის საშუალებით. პროპაგანდის ერთ-ერთი წარმატებული მანქანა იყო სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება, განსაკუთრებით ჰუმანიტარული განათლება. განათლებისა და კულტურის სამინისტროებს დაევალათ, დახმარებოდნენ კომუნისტურ პარტიას „სწორი“ ისტორიული ნარატივების გავრცელებაში. რუსეთ-უკრაინის დღევანდელმა ომმა აჩვენა, თუ რამდენად ძლიერია ეს ნარატივები. ისტორიის ფალსიფიკაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უკრაინაში და ყველა პოსტსაბჭოთა კონფლიქტში ტერიტორიული და პოლიტიკური პრეტენზიების გამართლებაში

ჩვენი ერთობლივი პროექტი, რომელსაც რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია გერმანიის ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს სომხეთიდან, მოლდოვიდან, საქართველოდან და უკრაინიდან, იწვევს მასწავლებლებსა და საშუალო სკოლის მოსწავლეებს, იკვლიონ, თუ როგორ გამოიყენებოდა ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა. ამ პროექტის მთავარი მიზანია ისტორიის სწავლებასა და საჯარო ისტორიაში პროპაგანდის მაგალითების შესწავლა და ანალიზი. ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდები გაეცნონ ისტორიის ინსტრუმენტალიზაციის მეთოდებს. ასევე ვცდილობთ, სკოლის მასწავლებლებს მივაწოდოთ მეთოდური ინსტრუქციები, რაც აუცილებელია პროპაგანდისტული ისტორიის ნარატივების შესასწავლად და ასევე სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად.